№ 85

საბჭოთა საქართველო

№ 85

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ქართული დრამატიული საზოგადოებ. გამგეობა

აუწყებს ქართულ თეატრის ყველა გულშემატკივარსო, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს, დილის 9½ საათზე, ხან მოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული და ნიჭიერი მსახიობი ქალი

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა.

პანაშვიდი ყოველ-დღე სალამოს 6 ნახევარ საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—2)

ტფილისის ქართული დრამატიული დასის მსახიობნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის

ნატო გაბუნია-ცაგარლის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 6½ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა ხუთშაბათს 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—2)

თამარ ალექსანდრეს ასული და კონსტანტინე მანუჩარის ძე ნარაკიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს დილის 9 ნახ. საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი დედა ზე უფრო ნაამაგარი

ნატო გაბუნია-ცაგარლისა

პანაშვიდები ყოველ დღე სალამოს 6 ნახ. საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია ცხედარი. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 აგვისტოს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

რედაქცია **„თეატრი და ცხოვრება“** გულითადის მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ორშაბათს, 16 აგვისტოს დილის 9½ საათზე გარდაიცვალა ქართულის თეატრის დედაბოძთაგანი და დამამშვენებელი

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

დაკრძალულ იქმნება ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (0—1)

ძმა იოსებ მერაბის ძე გაბუნია ძეულლითურთ და დები—კნეინა **დარიჯ მერაბის ასული ციციშვილისა, კესარია მერაბის ასული ტატიშვილისა და მარიამ მერაბის ასული კაკნაძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ **ორშაბათს, 16 აგვისტოს, დილის 9 ნახ. საათზე გარდაიცვალა** ძვირფასი და

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა

პანაშვიდები ყოველ დღე სალამოს 6 ნახ. საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც დასვენებულია მიცვალებული. დაკრძალვა—ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. სასაფლაოზე. (0—1)

მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სოფიო პეტრეს ასული დაკიშვიჩისა (ისარლოვის ასული)

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ შვილნი: **ნინო, იულია, ნიკოლოზი, ივანე** და **კონსტანტინე მიხეილის ძენი დაკიშვიჩნი,—ლუიზა მიხეილის ასული კობიაშვილისა** მეუღლითურთ და **ბარბარე მიხეილის ასული ბეზირგანოვისა** მეუღლითა და შვილებით. სახლიდან ცხედარს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 19-ს ამ მარიამობისთვეს დილის 10-ს საათზე (ელისაბედის ქუჩა № 35). რომის კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში (შუა ბაზარში). პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7-ს საათზე. (1—380—1)

რადგან ქართული ხოლერა თანდათან ვრცელდება

და ამის გამო ერთად დიდ-ძალი ხალხის შეკრება მავნებელი იქნება, ამიტომ ს. არბოს მცხოვრებელთ გადასწყვიტეს, **არ იდღესასწაულონ ფელს გერის-თაოგა** რომელიც მოდის ამ თვის 22-სა და 29-ს. ამ დღეებში სოფლის გარეშემო იდგებიან ყარაულები, **რომელნიც არავის არ შემოუშვებენ სოფელში.**

(2—2) არბოს მამასახლისი **ზაქარია ქრისტესიაშვილი.**

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგების

წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული

სახელმძღვანელო წიგნები.

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყველაზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან მე-უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, ... „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, ... „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, ... „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, ... „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, ... „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჯარაიასი. . „ 15 „

(25—ნ.—2)

„სოკრატინის“ ამხანაგობის გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად სკოლებში შესასწავლი

ქართველი მწერლები

წიგნი პირველი. შედგენილია **ივ. გოგებაშვილის** მიერ.

ფასი ყველით 80 კაპ.

ეს უკანასკნელი მესამე გამოცემა შევსებულია და შესწორებული. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სებჭოს დადგენილებით სასწავლებლებში ამ წიგნის ხმარება ნება-დართულია. წიგნის გამოწერა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდან. საზოგადოების მაღაზია დაუთმობს ამ წიგნზე ისე, როგორც თავის გამოცემებზე ჩვეულებრივ 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ოყით გამომცემლისაგან: ადრესი: Тифлисъ, т-во „Сортагань“.

იბეჭდება და გამოვა გასასყიდად 1 სექტემბრისათვის მეორე წიგნი **„ქართველი მწერლები“.** (5—4)

ქართული საზაფხულო თეატრი

დღეს, ოთხშაბათს, 18 აგვისტოს,

იქნება 2 კავკასიური და 2 ფრანგული საინტერესო

ჭიდაობა

ყველა ჭიდაობა გადამწყვეტია.

1. **კულა გლდანელი** დაეჭიდება ყოფილ წითელ ნიღაბს. 2. ჯიბგირი აპოლლონს. 3. მიხელ მაერი იანოშ ნაჯის. 4. პეტერსონი რეიბერს.

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფის სეანსები. ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევა მომავალის ოთხის წლისათვის (1910—1914) მოხდება წელს, ოთხშაბათს **8 სექტემბერს** გამგეობის დარბაზში. (1—ნ.—1)

ტფილისის ქერქოს სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით, ღია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის. ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბაინგ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორგოსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკა გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოველ დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სოფოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორი. რომელსაც განაგებს ექიმი ე. ვ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. ბონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწოკება და სხვა შეიძლებათ. საფასურით. (200—ნ.—255)

ვაგზლის ქერქოს სამკურნალო

კარგდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენგიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. ბოლოგა—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. ვ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (ნომ.—ნ.—416)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე განისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბამბილისა. (ე)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტროტერაპია, ელექტროლიზის ფიბრაციის მახსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—ნ.—46)

ექიმი კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20. ტელ. N 79. (0—ნ.—126)

ექიმი ქბილისა ნინო რცხილაძე იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაბუეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ბ. ნ. ბაბაკიანი **შინაგანი და ბავშვთა** სნეულებანი. სპეციალურად ქუჩისა და ნაწლავეებისა. **მიიღება** დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (ბაზრადიდ). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—წალ.—11)

ექიმი ალ. ბ. ბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ე)

მირავდება ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კირაჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე **№ 69.** მარჯვენა ხელი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

სურამი

ოთხშაბათს 18 აგვისტოს

=დანიშნულია=

თამარ ძნელაძისა და **ვანო სარაჯიშვილის**

=კონცერტი=

ბილეთის ფასი 2 მან.—30 კ.—მდი. დასაწყისი საღ. 9 ნახ. საათ. (2—2)

ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებს

რომ სურს მსახიობი ქალი—გამოცდილი—სცენისათვის მთელის წლის განმავლობაში, წლიური ჯამაგირი 600 მანეთი და სრული ბენეფისი. მსურველმა უნდა მიმართოს თხოვნით, შეიძლება გამოგზავნა ფოსტიო, ჭიათურა, გამგეობა ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

ამასთანავე სთხოვს წევრთა შეოიტანონ საწევრო ფული 1909 წლისა. წლიური კრება დანიშნულია 19 სექტემბერს. (3—1)

დეპეშები

მეტრო. დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

სეული. ტერაუჩიმ განაცხადა, რომ იაპონიის იმპერატორს ჰსურს ყოველი ღონე იხმაროს და დაუმტკიცოს კორეელებს, რომ ანექსია მათ დამცირებას კი არ მოასწავებს, არამედ ქვეყნის განთავისუფლებასაო. იაპონიის პოლიტიკას მიზნად ექნება კორეის ბუნებრივ სიმდიდრის განვითარება. სარწმუნო წყაროების ცნობის მიხედვით განზრახული არაა საბაჟო ტარიფის შესცვალონ, თუმცა ანექსიის დროს უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებანი ძალასა ჰკარგვენ; უცხოელები იმავე უფლებით ისარგებლებენ, როგორც იაპონიის სხვა ადგილებში.

ცეტინიე. 15 აგვისტოს დილის 6 საათზე სკუპშჩინამ საზოგადო კრებაზე მოისმინა პრეზიდენტის წინადადება და დაადგინა სთხოვოს მთავარს ნიკოლოზს ჩერნაგორია სამეფოდ გამოაცხადოს. დეპუტატები გაემართნენ სასახლისაკენ ამ თხოვნის მოსახსენებლად. პრეზიდენტმა ჯუკანუიჩმა მიულოცა მეფეს იუბილე და უთხრა, სკუპშჩინამ დიდის აღტაცებით დადგინა გთხოვოს შენ, მეფევ, გამოაცხადო ჩერნოგორია სამეფოდ. ისტორიულ უფლებათა გარდა დიდია სამსახური ჩერნოგორიისა, რომელიც ღირსეულად ასრულებდა თავის მისიას. განგებამ წილად გარგუნა შენ დაგებოლოვებინა საუკუნოებრივი ბრძოლა თავისუფლებისათვის. შემოიერთე დიდებული კუთხეები დაიქიდან დაიწყო ნემონიჩევის სამფლობელო. შენ სასწავლთმოქმედად წინამწყოლობდი ჩერნაგორიას და კიდეც ჩაიყენე შენი სამშობლო კულტურულ ქვეყანათა რიგში. ჩერნაგორიას არა თუ მარტო აქვს უფლება, ის მოვალეც არის ცხოველჰყოს ჩერნოგორიის ძველი ღირსება, ამიტომ სკუპშჩინა გთხოვს მიიღო იმის დადგენილება. გაუმარჯოს ჩერნოგორიის მეფესა და დედოფალს, მეფის მემკვიდრეს დანილოს და მთელ სამეფო გვარეულობის სახლობას!

ტოკიო. ოფიციალურად გამოცხადდა კორეის ანექსია. ახალ პროვინციას ახალი სახელი ეწოდა—ხასენი.

სტამბოლი. პატრიარქის ბრძანებით საბერძნეთის საერო კრების არჩევნები გიდაიდო.

ვაშინგტონი. გამოცხადდა კორეის ანექსიის ტექსტი. ტარიფი და დადგენილებანი ცალკეპირო ვაჭრობისა და კორეის ღია ნავთსადგურების შესახებ ძალაში დარჩება ამ ათი წლის განმავლობაში. მეზამპო გამორიცხულია ღია ნავთსადგურთა რიცხვიდან. იმის ნაცვლად ახალი ნავთსადგური იხსნება—შანვიო. იაპონიის კანონები სავაჭრო და გაბოგონებათა მოწმობათა დაცვისა კორეიაშიაც იქნებიან შემოღებულნი. კორეასა და უცხოეთის სახელმწიფოთა შორის არსებული ხელშეკრულებანი ბათილდებიან. უცხოელებს ისეთი უფლებანი ექნებათ, როგორსაც იაპონია მიანიჭებს. ხელშეკრულებაში რვა მუხლია შეტანილი. პირველში ნათქვამია, რომ კორეის იმპერატორი თავის უფლებათ და მთელს კორეას შეუზღუდველად უთმობს იაპონიის იმპერატორს. მერვეში ნათქვამია, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა. დანარჩენნი მუხლები ეხება დაწვრილებით კორეის მართვა-გამგეობის წესრიგს.

ლისაბონი. რესპუბლიკანელებმა გაიმარჯვეს ლისაბონიის სხვა და სხვა საარჩევნო ადგილებში. ოპორტაში არჩევნებმა წესიერად ჩაიარა.

ბილბაო. მუშათა კავშირის დელეგატთა კრებაზე მადრიდის წარმომადგენელთა თანადასწრებით დაადგინეს 17 ხმით წინააღმდეგ 23 საყოველთაო გაფიცვა არ გამოაცხადონ.

ცეტინიე. დილის 9 საათზე სასახლიდან მონასტერს წავიდნენ მეფე და დედოფალი, სამეფო სახლობა, მემკვიდრე, იტალიის მეფე-დედოფალი და მრავალნი სხვანი. სასახლიდან გამოსვლის დროს ზარებს უკრავდნენ. მონასტერში გადახდილ იქნა პარაკლისი. მონასტრიდან ისევ დიდი ამბით დაბრუნდნენ სასახლეში, სადაც დიპლომატიურმა კორპუსმა რაკებამ მიულოცა მეფეს. მიულოცეს სავა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, აგრეთვე, სარწმუნოებათა წარმომადგენლებმა, მინისტრ-პრეზიდენტმა, სკუპშჩინის პრეზიდენტმა და მრავალმა სხვამ. სკუპშჩინის პრეზიდენტის სიტყვას ვაშას ძახილით შეხვდა ხალხი მეფემ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ მივიღე სკუპჩინის დადგენილება, რათა სამეფოდ გამოეცხადებინა ჩერნოგორია და ამით ძაფი გამება აწმყოსა და წარსულს შორისაო. რომელ ხალხსაც კარგი წარსული აქვს, შეუძლიან იწამოს თვისი ბრწყინვალე მომავალიო. მეფის სიტყვის შემდეგ გაისმა ზარბაზნის ხმა, ხალხის აღტაცების ყიჟინა მოისმოდა ქუჩიდან. დეპუტატები გაემართნენ სკუპშჩინაში და ერთხმად მიიღეს კანონი ჩერნოგორის სამეფოდ გამოცხადების შესახებ. შემდეგ დეპუტატები დაბრუნდნენ სასახლეში და გადასცეს მეფეს კანონი ხელის მოსაწერად. ხალხში არიგებდნენ მეფის მიერ გამოცემულ მანიფესტს.

შპანგუ. ბაქტეროლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ორი ხოლერიანი ავადმყოფი. ერთი უკვე გარდაიცვალა ზომები მიიღეს სენთან საბრძოლველად.

ლისაბონი. დიდის უმრავლესობა ლისაბონში ამოუვიდა ჯერ რესპუბლიკელთა 10 კანდიდატს. მთავრობისა და ოპოზიციის ფრაქციის მონარქისტებს ერთი მეორესთან ბრძოლა აქვთ. 1115 ამორჩეულთაგან 90 მთავრობისა, 33 ოპოზიციის მონარქისტთა და 12 რესპუბლიკელი.

სეული. ტახტიდან გადადგომის წინ იმპერატორმა გამოსცა ბრძანე-

ბა, სადაც ნათქვამია, რომ მას საშუალება არა ჰქონდა თითონ მოეხდინა რეფორმები, ამიტომ სამართლიანად სთვლის ეს საქმე სხვას ჩაბაროს. იმპერატორი ურჩევს ხალხს წყნარად იყვეს, ნუ გაანებებს თავს მუშაობას, დაემორჩილოს ახალ მთავრობას, რომელიც 8.500.000 დოლარს გადასდებს მრეწველობის განსავითარებლად, სწავლა-განათლების გასავრცელებლად, საავადმყოფოსა მოსაწყობად და სხვა. გუბერნატორმა ფურცელი გამოსცა, რომლის მიხედვით ღარიბებს ნედოიმკები ეპატიათ. ხალხი წყნარადაა.

რუსეთი

ბელოსტოკი. დაიწვა იანოვსკის თუთუნის ქარხანა.

კიშნიოვი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ დაიწვა ლიპკინაში 127 სახლი, 138 მაღაზია და ებრაელთა თორა. უსახლკაროდ დარჩა 2000 კაცი.

ორიოლი. ელეცკის საეპარქიო კრებამ დადგინა ხუთი პირველ დაწყებითი სკოლა გახსნას არშიების მქსოვ ქალთათვის, შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ 10.000 მანეთი სუბსიდია მიეცეს არშიების მქსოვ ქალებს მასალის შესაძენად, და სესხად მიეცეს 20.000 მან. არშიის ვაჭრობის ორგანიზაციისთვის. მაზრაში 30 ათასი არშიის მქსოვი ქალია, წარმოება მილიონ მანეთზე მეტია.

ოდესა. გამოფენის ცეცხლის საქრობ განყოფილებაში დემონსტრაციის დროს გასქდა ცეცხლის მქრობელი პარიზის სიმტემის—სუბიტო. ფირმის წარმომადგენელს თავში მოხვდა ძირი აპარატისა და მოკვდა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს ცირკულიარები დაუგზავნა და აცნობა, რომ თან და თან შესცვალოს საგუბერნიო საკრებულოთა შედგენილობა, თავისუფალ ადგილებზე უნდა მიიღონ უმაღლეს სწავლა-დამთავრებულნი ან ყოველ შემთხვევაში საშუალო სწავლა-განათლება მიღებულნი. მრჩევლებად უნდა მიიღონ იურიდიულ ფაკულტეტში კურს დამთავრებულნი.

მოსკოვი. შეიპყრეს ორი ბოროტმოქმედი, რომელიც ჩჩვილ ბავშვებს იღებდნენ და ხოცავდნენ. გამოირკვა, რომ სულ ხუთი ბავშვი მოუკლავთ.

ლოძი. უცნობებმა ბრაუნინგით სასიკვდილოდ დასჭრეს გოროდოვოი და გამვლელი კაცი და ერთი ქალი.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერისა ავად გახდა 59, გარდაიცვალა 20 კაცი, საავადმყოფოში, 671.

სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის შესახებ: ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა ალექსანდროვსკში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში 31, გარდაიც. 27, ასტრახანში და გუბერნიაში 141, გარდაიც. 72; კავკავში 11, გარდაიცვალა 4, ვორონეჟის გუბ. ავად გახდა 803, გარდაიც. 510. გომელის მაზრაში 5, გარდაიც. 4. ნიკოლაევსკში 27, გარდაიცვალა 16, ტულაში 9, გარდაიც. 8, ცარიცინში 10, გარდაიცვალა 3, ჩისტოპოლში 4, გარდაიცვალა 1, მაზრაში—86, გარდაიცვალა 28; სმოლენსკში—7, გარდაიცვალა 2; ანანიევის მაზრაში სენის გაჩენიდან ავად გახდა 633, გარდაიცვალა 286, ანანიევში—4, გარდაიცვალა 2. სიზრანის მაზრაში—421, გარდაიცვალა 278, სიზრანში—79, გარდაიცვალა 45 კაცი.

ახალი ამბები

ტფილისი

✦ **ნატო გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება.** დღეს, 18 აგვისტოს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში საღამოს 6½ საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი განსვენებულ მსახიობ ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად,

ხვალ, 19 აგვისტოს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე მიწას მიაბარებენ ნიჭიერ მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარლის ცვამს.

ქალაქის გამგეობამ მოისმინა თავ. ა. მ. არღუთინსკის განცხადება ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების შესახებ და დაადგინა: 1) დაესწროს პანაშვიდებსა და დამარხვას, 2) შეამკოს განსვენებულის კუბო გვირგვინით ზედ წარწერით: „ღრმად პატივცემულ და მაღალ ნიჭიერ ნატალია მერაბის ასულს გაბუნია-ცაგარლისას ტფ. ქალაქის თვითმართველობისაგან“ და 3) გამოეცხადოს განსვენებულის ოჯახობას თანაგრძნობა.

ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრებს საგანგებო კრება ჰქონდათ. გამგეობამ დაადგინა: გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო და განსვენებული დამარხოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების ხარჯით.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა განსვენებული მსახიობ ქალის ნატალია გაბუნია-ცაგარლის დამარხვას სახალხო სახლის ადმინისტრაცია დაესწროს და აგრეთვე შეამკოს გვირგვინით განსვენებულის კუბო სახალხო სახლის სახელით.

ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების გამო გუშინ და გუშინ წინ ახლო-მახლო დაბა-სოფლებსა და ქალაქებიდან განსვენებულის ნიჭისა და ხსოვნის მრავალი პატივისმცემელი ჩამოვიდა.

✦ **პანაშვიდი ნატო გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად.** გუშინ და გუშინ-წინ საღამოს 6½ საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდები განსვენებულ მსახიობ ქალის ნატალია გაბუნია-ცაგარლის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდებს დაესწრნენ სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები და განსვენებულის ხსოვნის მრავალი პატივისმცემელი.

✦ **რედაქციის მიღო დეპეშები:**

მოსკოვი. თქვენთან ეროვნულ ვგლოვობ უბადლო და დაუვიწყარ ნატო გაბუნიას დაკარგვას. **ეფემია მეხი.**

ქუთაისი. სიტყვას ვერა ვპოულობთ გამოვსთქვათ ჩვენი მწუხარება, რომელიც გამოიწვია დაუფასებელ ნატოს მოულოდნელმა და უდროოდ გარდაცვლებამ. ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი: დავით კვდიაშვილი, დავით ავალიანი, დავით ნაზარეთელი, გიორგი თუთბერიძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ვიქტორ ასათიანი, ეგნატინა, ნიკოლოზ ყორღანაძე, ვიქტორ ჯაფარიძე, ნესტორ ჩიქოვანი, რაჟდენ ბუაძე, იოსებ დოლთქიფანიძე, ვიქტორ მახვილაძე, დავით მაკაბელიანი, აკაკი იოსელიანი, ვასილ კვლიაშვილი, ნესტორ ფურცელაძე.

ნ. მ. გაბუნიას გარდაცვალების გამო უზენაეს ნიჭით ცხებულ, ქართულ სცენის უანგაროდ მოამაგე მსახიობ ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის დაკარგვამ დიდად დამაღონა.

ბესარიონ ტყემალაძე.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსები.** ვარაუდით ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებს წელს 75 510 მანეთი ხარჯი ექმნება. შემოსავალი მოსალოდნელია მხოლოდ 37.500 მანეთი. ამიტომ კურსების გამგეობა ქალაქის თვითმართველობას წელს 10.000 მანეთის შემწეობას სთხოვს. შარშან თვითმმართველობამ კურსებს, როგორც ვიცით, 5 ათასი მანეთი მისცა.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 16 აგვისტოს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს 5 კაცი. მათი გვარები: 1) ნიკოლოზ ვახვახიშვილი (უსაქმური), 2) მიხეილ ალექსის ძე ყიფიანი, 3) ივანე ვოსკანიანცი, 4) ალექსი მირზოიანცი და 5) გიორგი მიხეილის ძე ზუბიევი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი იხალშენი:** უკვე დაიწყო მოქმედება მცირე წლოვან დამნაშავეთა ახალშენმა. ამიტომ ახალშენის—გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ტფ. ქალაქის წინაშე, რომ ქალაქის თანხიდან ახალშენს წინანდებურად კიდევ დაენიშნოს ყოველ-წლიური შეწეობა 7000 მან.

✦ **შავი ჭირის მოლოდინში.** როგორც გუშინ ვწერდით, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი ბათუმის ქალაქის თვითმართველობას შეეკითხა, მართალია თუ არა ტფილისში გავრცელებული ხმები, ვითომ ბათუმში შავი ჭირი, გაჩნდაო. გუშინ ბათუმიდან პასუხი მოვიდა და აღმოჩნდა, რომ ეს ხმები სრულიად უსაფუძვლო ყოფილა.

✦ **ეგზარხოსის გამგზავრება.** 20 აგვისტოს საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი ბაქოს მიემგზავრება.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 16 აგვისტოს დილის 9 საათიდან 17 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა—1 კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—20 ავადმყოფი, მოემატა—1, მოჩრა და გამოეწერა—9. დარჩა—18.

✦ **კომერციულ სკოლის მოსწავლენი სამხედრო სასწავლებელში.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შუამდგომლობის თანახმად, სამხედრო სამინისტრომ შესაძლებელად სცნო უეგზამენოდ მიღებულ იქმნენ საკომერციო სასწავლებლების 8 კლას დამთავრებულნი სამხედრო სასწავლებლების მოსამზადებელ კლასებში. ასეთი მიღება იქმნება დროებითი, საცდელად და გასტანს 1910 წლიდან 1912 წლამდე.

✦ **გადასახლებულის შეპყრობა.** 16 აგვისტოს ტფილიში პოლიციამ შეიპყრო თელავის მაზრის სოფელ კურდღელაურის მოხოვრები იოსებ ლაზარეს-ძე ტურაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა

✦ **უპასპორტონი.** 16 აგვისტოს საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 50 უპასპორტო.

✦ **„სანთური“** სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდება დამფუძნებელი კრება ახალ მომღერალთა საზოგადოება „სანათურისა“.

✦ **შემოწირულება** ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მიიღო ორმოცდა თორმეტი მანეთი ბაკურიანიდან—ეროი ჯგუფის მიერ გამართულ წარმოდგენის შემოსავლიდან.

შემოსწირეს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავს ერთი ძველი ეტრადზედ ნაწერი სვინაქსარი ონისიმე მელოთაურმა; სახარება დაბეჭდილი 1791 წ. ალექსანდრე ჯავახიშვილმა და მუზეუმისთვის საფლავში ნაპოვნი ნივთები ბრინჯაოსი, 12 ნაჭერი ვლ. ყიფიანმა, ოთხი ნაჭერი ჭურჭელი თიხისა და ისრის წვერი, ნაპოვნი ავლევში—მიხეილ დავითის ძე ამირეჯიბმა, ერთი თიხის მილი, ერთი კრამეტი, ერთი აგური, ერთი ქვა წარწერით, და ალმასოვანს ნაჭერი და სამი შუშის ეკლესიის ნანგრევებში ნიკოლოზ ნაღინაძემ.

მოწერილი ამბები

სოფ. რზველი ანუ ძველი (ახალციხ. მაზ.). „მოდუდუნე მტკვრის“ მარცხენა ნაპირზედ ფრიად მადლობა ადგიდზედ მდებარეობს ეს სოფელი, შემკული მშვენიერის ს

მოძღვრის მ. ცაგარელის თანადასწრებით, ეს ფერშალი რუსია—სახის გამომეტყველება უმტკიცებს, რომ სასმელს არ გაურბის. მეტის მეტად ეგმაყოფილა ადგილობრივი კლეტბისა და მასთან რზეულში სოფერშალ შუნტის“ დაარსებისთვის, რადგან როგორც ამბობ სოქვა აქ ჭაური კარგია და ავად იშვიათად ხდებიან. შეამდგომლობა ადარი მთავრობასთან „შუნტი“ გადაიტანონ ასპინძაში, რადგან ის უფრო მოსერხებული ადგილია, იქ დუქანი არის, გზაც და ხალხიც—კარგია—თათრები. აქაურები-კი ციგნები, ეშმაკები და ძუნწები არიანო. — აი ესლა ამბავი კავკაზიანე მაგრამ ხუთშაურს თხოულობენ ორ გარიაში. როგორ უნდა იცხოვრონ აქ ცოდვილიანმა კაცმა“. ეულმტკივნეულად ამბობდა ფერშალი. ფერშალსა და ხალხს შორის ვერაა კარგი დამოუკიდებულება. უმთავრესი მიზეზი—უკმეხი დამარაკი უსულ-გულოდ მოპყრობა და მეტი სედფასის ადება. მეორეც ის, რომ აქაურმა ქართველებმა არ იციან ფერშალის ენა, არც ფერშალს გაგეგია რა ხალხის ენა. სოფ. ჯობრეთს ავად გამხდარა ტ. ჯვარიძე, გაციებულა და სიცხე მიუცია—ფერშალმა უგულოდ მიიღო, მატრონებმა ავადმყოფი წამოიყვანეს სახლში და მდგდელი მიიწვიეს საზიარებლად. რაცა შეეკითხე — რატომ ფერშალს არ მოიწვევთ მეოქი, მიპასუხეს—იმ დღეს გეეუანდა, მანეთ ნახევარი გეთხოვა ნახევარ ეერსის მანძილზე ფეხის ქირა. ამასთან გვაკინა თქვენ მხეტები ხარო, არაფერი ეესმიოთ და სხვ. თავის დღეში ფერშალს ადარ მოეწვევ და არც იმის წამალს წამოვიღებო. რასაკვირველია, თუ ასეთი წარმომადგენლები ეეოდენ სოფლად მედიცინის—ხალხის ნდობას ვერ დაიმსახურებს. ბირიქით საუკუნოებრივ განმტკიცებულ ცრუმორწმუნოები კვლავ ბრმად მიჰყვებიან. სწორედ საკვირველია, რომ სამკურნალო განუოფილება ასეთ კეთილისმეოფელს ეგზავნის სოფელს, სადაც ეს არის დაარსდა საფერშალო სახლი ეველას რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება არ უსაყვედუროდ სამკურნალო განეოფილებას, რომ ადგილობრივ ენის უცოდინარს გზავნის ასეთ ადგილებში, სადაც ხალხმა რუსული დამარაკი არ იცის ბიუროკრატიული დაუდეგრობა, მაშ რა არის.

ახლა ადძრულია კითხვა აქვე დაარსონ საავადმყოფო რადგან როგორც ზემოთ მოგიხსენიე საუკეთესო ჭაური აქვს ამ საფეველს და შეა ადგილადაც ითვლება მთელ საზოგადოებაში. მაგრამ თუ ასეთს ფერშალებს დაგვინიშნავენ, ხალხს დაგვიფრთხობს და ეველაფერზედ უარს ამქმევინებს, თუნდაც მეტად სასარგებლო დაწესებულებაზედ იყოს.

მაისში ეს საფეველი სამინდად დაისეტეა—2000 მან. ზარალი ინკარიშეს; მთავრობის წარმომადგენელი იყო შემწეობა ადუთქვა იმ პირობით, რომ სარგებლით უკანვე—გამოგერომევითო. ხალხმა უარი განაცხადა ასეთ დახმარებაზედ.

იგლისის 17-ს შემოსულია ეანები სულ ახლა დასეტეა ზარალი წინანდელზედ მეტია, მაგრამ მაინც ხალხი მთავრობის დახმარებაზედ უარს ამბობს. მეგეკითხე კლეტებს, რად იქცევით აგრე მეოქი და მიპასუხეს: „მეზობელი ჯავახელი საფეველიც დაისეტეა ამ რამდენიმე წლის წინედ, მთავრობამ შემწეობა მისცა, მაგრამ საწყალი ისეთ ვალში ჩაცვივდნენ, რომ დღესაც ვერ მორჩენიან ხაზინის ვალისაო. ჩვენც ეს დღე დაგვადგებაო“.

აქაური.

—

ს. ერთაწმინდა (ბორის მაზრა). ჩვენ სოფლის ემთავრეს დანაკლისს აქმდინ შეადგენდა დასავლეთ წყლის უქონლობა აქ იმ სოფელში რის გამოც ხალხი თუ ნაქონელი დიდ გაჭირვებას ითმენდა და ითმენს კიდევაც მაგრამ ჩვენდა სასუბეშოთ ამ დანაკლისის სიკეთის გზაზე გამოეეანის ნიშნებს ვხედამთ დღეს, ამ კარემოებას ბირეველთ მიაქცია ეურადღება ბოქ. თავ. გ, ე. ანდრონიკაშვილმა, რომელმაც თავისთან დაიბარა სოფლის კეთილანი ბირნი წყლის გამოეანაზე მოსაუბარაკებლათ. შემდეგ ამისა ამოვიდა თეით ბ ანდრონიკაშვილი სოფელში და მოახდინა თავის თანადასწრებით ურიდობა, რომელზედაც ხალხმა კადასწეიდა გამოეანის სოფელში ერთა წყადი რამდენიმე ადგილას; დაახლოებით გამოანკარიშეს მომავალი ხარჯი, რომელიც 1200 მანეთს ადემატება გამოიტანეს შესაფერისი დადგენილება და წარგზავნეს ბ. ანდრონიკაშვილს. ეს ამბავი ეანეთ ეანეთ ეანეთ

და თავისი ბატონობა უზრუნველ ჰყონ, საჭირო არის პოლონელ მემამულეებისთვის დიადი ძალა, უდიდესი პოლიტიკა ადმინისტრატიული აპარატი. და ეს ძალაც სწორედ დღეს-დღეობით მათ ხელშია. თუმცა იყო დრო, როდესაც პოლონელები არავითარ პოლიტიკურ უფლებებით არ იყვნენ აღჭურვილნი. ჯერ კიდევ წარსულში, როდესაც პოლონეთის შეძლებული კლასი განსაკუთრებით პოლონური შლიახტა, თავის დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა, ავსტრიის მთავრობის ყურადღება და სიმპატიები უკრაინელთა მხარეზე იყო. მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება გაემწვავებინა ეროვნული შუღლი, როგორც არიან: სოციალ-ეკონომიურ, ნაციონალური და სარწმუნოებრივი. როდესაც დამოუკიდებლობის იდეია ძლიერ გაიზარდა პოლონელებს შორის და 1846 წლის ამბოხება მზადდებოდა, ვენის მთავრობამ მიუსია პოლონელებს უკრაინელი გლეხები და შეჰქმნა ის აუტანელი პირობები, რასაც საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა და სადაც ასობით და ათასობით დაიხოცნენ პოლონელი მემამულენი. ამ გვარ ბრმა იარაღად გამოიყენა მთავრობამ უკრაინელი გლეხები 1848 წლის რევოლიუციონურ ხანაში. რომ უკრაინელ მასაში რეალური ნიადაგი მოეპოვებინა, ავსტრიის რეაქციონურმა მთავრობამ მათი მხარე დაიჭირა და სულ იმის ცდაში იყო, რომ რამე გზით შეექმნა ანტიპოლონური მთავრობის მომხრე პარტია მათში. ამ დროს, ერთი თავის დამახასიათებელი თვისება აქვს: უკრაინელები, როგორც ეროვნება პირველად იქმნა ოფიციალურად აღნიშნული. პოლონურ საზოგადოებაში იმ აზრისა იყვნენ, რომ რუსინების ეროვნებად აღიარება, ეს მთავრობის მახინაციაა, რომელიც მოწადინებულია ჩაჭკლას პოლონეთის თავისუფლებაი. ამის შემდეგ პირობები რადიკალურად შეიცვალა პოლონეთის საზოგადოებაში გაბატონდა კონსერვატიული კლერიკალური პარტია, რომლის ვიწრო ინტერესებისათვის საკმაო იყო რამოდენიმე პოლიტიკურ უფლებების დათმობა ავსტრიის მთავრობის მხრივ, რომ სამუდამოთ შერიგებოდა თავის ბედს. პოლონეთის მემამულეებთან ერთად დამარცხდა ავსტრიის რეაქციონური მთავრობაც. ოცი წლის უთავბოლო ბიუროკრატების და მიწათმფლობელ არისტოკრატიის ბატონობამ, ქვეყანა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა, რისი შედეგიც იყო იტალიელების და პრუსიელების სრული გამარჯვება. ამიტომ ავსტრიის მთავრობისთვის საჭირო იყო შიგნით სახელმწიფოში სიმშვიდე და ნიადაგი, რომ სრულიად არ გამოსთხოვებოდა თავის პოლიტიკურ ბატონობას. ამიტომაც 1867 წლის „შეთანხმების“ აქტით მან უარჰყო თავის ზოგიერთი პოლიტიკური უფლებანი, რათა უკეთესად აეხვია თვალი თავის მტერმოყვარეთათვის.

67 წლის აქტი როდი იყო სხვა და სხვა ერების ეკონომიურ ცხოვრებასთან და მათ კლასიურ სტრუქტურასთან შეფარდებული იმპერიის ერთ ნახევარში (ჰუნგრეთში) მადიარების ბატონობა იყო გამოცხადებული, მეორეში კი (ავსტრია) გერმანელების. გარდა ამ ორ ერისა ძალა ჩაიგდეს ხელში ხირვატებმა (ჰუნგრეთში) და პოლონელებმა (ავსტრიაში) დანარჩენი ერები, ერთ საუკეთესო პუბლიცისტის და ავსტრიის ეროვნულ ურთი ერთობის კარგად მცოდნე რუდოლფ შპრინგერის სიტყვის არ იყოს, საწველფურად და სათელ ერებათ იყვნენ გამოცხადებულნი. წარმოუდგენელია ის ეროვნული დაბეჩავება, რომელსაც უკრიანელნი განიცდიან გალიციაში. მათ სჩაგრავენ, როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად და კულტურულად. ეკონომიურ ჩაგვრაზე ჩვენც უკვე გვქონდა ბაასი ეხლა მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებიდან, რაც ნათელს ჰყოფს ამ ორ ეროვნების დამოკიდებულებას. ახლ ავსტრიას პარლამენტში (ძველზე ლაპარაკიც არა ღირს) ერთ დეპუტატს ირჩევს 39 ათასი გერმანელი, 51 ათასი პოლონელი 55 ათასი ჩეხი და 102 ათასი უკრაინელი. ასეთია საქმის ვითარება ავსტრიის პარლამენტში; თვით გალიციაში კი ერთ დეპუტატს ირჩევს 46 ათასი პოლონელი და 120 ათასი უკრიანელი, უარესს დაჩაგვრას განიცდიან უკრიანელები კურიალურ წოდებრივ გალიციის ლანტაგში. 161 საერთო დეპუტატებიდან მხოლოდ 15 დეპუტატი მოდის რუსინებზე. თავის თავად ცხადია, რომ უკრაინელები სრულიად მოკლებული არიან მართვა-გაძგეობის. პოლონეთის მმართველი კლასი საკმაოდ სარგებლობს თავის აბსოლიუტურ ბატონობით, რაც რუსინების კულტურულ-განმანათლებელ მისწრაფებების მეზღუდვაში გამოიხატება. **კ. ჩხეიძე.**

(დასასრული იქნება)

ფოსტა

„ახალგაზრდათა საზოგადოება“ ფინლანდიაში. პატარა ფინლანდია მთელ თავის ყურადღებას ხალხის განათლებასა და ეკონომიურად გაძლიერებას აქცევს. შესამჩნევი ნაყოფიც მიაღწია. თუ რამდენად ძლიერია ეს მისწრაფება, საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ერთ-ერთ ფინლანდიელთა კულტურულ საზოგადოებისა, რომელიც „ახალგაზდათა საზოგადოება“ იწოდება. ეს ასოციაციონი 1890 დაარსა პატარა წრემ ვიბორგის უნივერსიტეტის სტუდენტებისამ. შეადგინეს ხუთი კაცისაგან კომიტეტი, მოაგროვეს თავიანთ შორის 50 მანეთი და მიმართეს ხალხს მოწოდებით, რათა მატერიალური დახმარება აღმოეჩინა საზოგადოებისთვის ხალხმა მხურვალედ შეხედა მოწოდებას. „ახალგაზდათა საზოგადოების“ განყოფილებები გაიხსნა ყველა ქალაქებში. „საზოგადოება“ მართავდა სახალხო კითხვებს, ხსნიდა განათლების კურსებს, აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს; თანდათან საზოგადოებამ გაფართოვა თავისი მოქმედება: გაიჩინა მგალობელთა გუნდები, ორკესტრი, გიმნასტიური წრეები, ჭმართავდა წარმოდგენებს, და სხვა და სხვა გასართობებს ხალხისთვის. ათ წელიწადში საზოგადოება შესამჩნევად გაიზარდა და ხალხში დიდი სიყვარული და ნდობა დაიმსახურა. ამ ჟამად კორელიაში, საითაც უმთავრესი ყურადღებაა მიქცეული, საზოგადოებას ჰყავს ათი ათასის წევრი სამესი გინყოფილებით, სამასზე მეტი ბიბლიოთეკა-სამკითხველოა; ამას გარდა საზოგადოებას აქვს საკუთარი 46 სახლი და ყოველ წლივ იმართება შვიდი ათასზე მეტი კრება საღამოები და კითხვები. —ჩვენ უნდა ვიყვნეთ ძლიერნი ეკონომიურად და კულტურულად, აი, ის სიტ-სიტყვები. რომელიც გაისმის ფინლანდიის ყოველ კუუხეში: დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კორელიას, რადგან ეს კუთხე ძალიან უნაყოფოა და ადამიანის თავის გამოკვება უძნელდება და ამასთან იქ ნაკლებადაა გავრცელებული სწავლა-განათლება. იქ მრავლად იხსნება სახალხო სკოლები, სადაც კორელები სიამოვნებით აბარებენ თავიანთ შვილებს, მეუხგდავად იმისა, რომ ხშირად ემუქრებიან ხალხს, ფინურ სკოლებში შეილებს ნუ მისცემთო. ამ მუქარის, ვრასაკვირველია ადგილი აქვს. ფინლანდიის აღმოსავლეთით. ძლიერ საეჭვოა, გაიმარჯვოს თუ არა კარელიაში რუსიფიკატორული პოლიტიკა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დიდ წინააღმდეგობას შეხვდება გონიერ და კულტურულ მცოვრებთა მიერ.

წერილი რედ. მიმართ

„სახალხო გაზეთის“ მე-62 ნომერში დაიბეჭდა წერილი სოფლის მასწავლებლისა, რომელიც ეხება სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმეს. მასწავლებელი აღნიშნავს რომ წინად, სანამ რეაქცია ფეხს მოიკიდებდა, სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების საქმე კარგად იყო დაყენებული, შემდეგ კი სასულიერო მთავრობის განკარგულებით საქმე დაკვეთდა. რისთვის დასჭირდა ავტორს ასეთი რამის დაწერა ვერ გამიგია. ქართული ენის სწავლება სამრეველო სკოლებში ყოველთვის, როგორც მოძრაობის დროს, აგრეთვე ეხლაც სასურველ ნიადაგზე არის დაყენებული და არავითარი რეაქციას მისი რიგიანად სწავლება არც შეუფერხებია და არც შეურყევია. სამრევლო სკოლებში ყოველთვის ხალხს ამ მხრით დიდ სამსახურს უწევდა და მომავალშიაც გაუწევს ბნელ ძალებში გავლენას ვერ იქონიებენ, დედა-ენას, დედის ძუძუსთან შესისხლხორცებულ ენას, მუდამ საპატიო ალაგი ეჭირება ამ სკოლაში. ორ კლასიან—სამრევლო სკოლებში სულ აღარ ასწავლიან ქართულსაო. მოგვითხრობს ბ. მასწავლებელი. საინტერესოა, მიმითითოს ერთ სკოლაზე მაინც იმერეთის ეპარქიაში, საიდანაც დედა-ენა განდევნილია სამინისტრო სკოლებში კარგად არის დაყენებული ქართული ენის სწავლებაო, სწერს კორესპონდენტი სმსიამოვნოა თუ ასე არის. დიდი ბედნიერება იქნებოდა ასე ყოფილიყო, მაგრამ სავალოდაც ისაა, რომ ეს ასე არ გახლავთ. თავის მოტყუებაა იმის მტკიცება, ვითომ სამინისტრო სკოლებში უკეთ იყვეს დაყენებული ქართული ენის საქმე, ვიდრე სამრეველო სკოლებში სჩანს, ბ. მასწავლებელი სახალხო განათლების საქმეზე ძლიერ შორსა სდგას და ამიტომ არ იცის, სად რას ასწავლიან სად როგორაა დაყენებული სწავლის საქმე.

ეს სამი თვეა, რაც დამნიშნეს საბჭოს თავმჯდომარედ, სამრევლო სკოლების ბევრი ანგარიშები განვიხილეთ, მაგრამ ქართული ენის შესახებ კარგის მეტი არა გამიგონია-რა. მე ოვითონ ვიყავი გამოსაცდელად ივნისის თვეში ზოგიერთი ქუთათურ სკოლებში და კარგი შთაბეჭდილება მივიღე: ბავშვებს მშვენივრად შეუსწავლიათ დედა-ენიდან ლექსები და იგავ-არაკები; მესამე განყოფილებაში „ბუნების კარი“ და „გუთანიც“ უკითხავთ და რაც გაუვლიათ, შეგნებით იციან. წერა ქართულად ყველგან საუცხოოდ არის დაყენებული. დანარჩენი წევრები, რომლებიც გაგზავნილი იყო ზოგიერთ სკოლებში გამოცდაზე დასასწრებლად, საბჭოს მოახსენეს, რომ ქართული ენა სასურველ ნიადაგზე არის დაყენებულია. ნუ თუ ამის შემდეგ დაეჯერება რამე ამისთანა კორესპონდენტს და მერე, ჩვენდა სამწუხაროდ, მასწავლებელსა და ხალხში სინათლის შემშუქებელსა! ყ-დ სამღვდელო გიორგი განცვიფრებით შემეკითხა ბორჯომში ამ წერილისა გამო და წინადადება მომცა დაუყოვნებლივ რევიზია მომეხდინა საბჭოს კანცელარიაში, თუ რამდენი გაკვეთილი აქვს დათმობილი ქართულ ენას სამრევლო სკოლებში და რამ გამოიწვია ამისთანა ბრალდება. შემდეგ კორესპონდენტი უსაყვედურებს ეპარქიალურ საბჭოს, რომ ყური არ გაიბერტყა საზაფხულო კურსების შესახებო; თანაც დიდი რიხით აგვიწერს კურსების დიდ მნიშვნელობას მასწავლებლების ცოდნის ჰორიზონტის გაფართოვების საქმეში, რისთვისაც კორესპონდენტი პრემიის ღირსია და უფრო კარგი იქნება რომ ლექციებს წაგვიკითხავდეს! ეპარქიალურ საბჭომ აპრილში აღძრა შუამდგომლობა უმაღლესს მთავრობის წინაშე კურსების გახსნის შესახებ და კიდევაც სრული დაიმედებული ვიყავით: მივსწერეთ ქასწავლებლებს და დავიბარეთ ოთხს ივნისისთვის, მაგრამ მთავრობამ უარი გვითხრა. ეს მოწერილობა ისე გვიან მივიღეთ, რომ დროზე ვერ ვაცნობეთ მასწავლებლებს და ასე ამნაირად ზოგიერთნი კიდევაც ჩამოვიდნენ. და ისედაც ღარიბნი ხარჯში შევიდნენ. მაშასადამე, საბჭოს თავისი მხრით ცდა არ დაუკლია და თუ უმაღლეს წრეებში უარი გვითხრეს, ეს რა ჩვენი ბრალია კორესპონდენტი ჰგოდებს, რომ სამრევლო სკოლებში მასწავლებლები უვარგისნი არიანო. ზოგიერთი მასწავლებლების უვარგისობაზე ვერც ჩვენ ვიტყვით უარს, მაგრამ ეს აიხსნება სკოლების მატერიალური უსახსროებისა გამო, თუმცა სამრევლო სკოლებშიაც არიან კარგი გამოცდილი და მცოდნე მასწავლებლები. რაც რომ ამ მოკლე დროში გავეცანი მათ მდგომარეობას, განცვიფრებაში შევდივარ: მათი ჯამაგირი ოცმანეთს არ ასცილდება; ხალხის მხრით არავითარ ნივთიერ დახმარებას არ ღებულობენ და მშიერი კუჭით რა უნდა ასწავლოთ? ზოგი მასწავლებლები რაჭიდან და ლეჩხუმიდან ჩამოვიდნენ და შეგვთხოვეს კანიკულების ჯამაგირის ერთბაშად მიცემა რადგანაც ნახევარი ჯამაგირი გზაში უნდებათ მაგრამ ეს თხოვნა, ჩვენდა სამწუხაროდ ვერ დავაკმაყოფილეთ, რადგანაც ხაზინა ავანსით ფულს არ იძლევა. ღვთის მადლით, სამრევლო სკოლების მასწავლებლებს პირველს სექტემბრიდან ჯამაგირი ემატებათ და ისინიც უფრო ბეჯითად შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის აღსრულებას და საბჭოსაც შეძლება ეძლევა მასწავლებლებთა კონტიგენტიც გააუმჯობესოს. კორესპონდენტი აქებს და ადიდებს, რომ სამინისტრო სკოლების მასწავლებლებმა დიდი უნარი გამოიჩინეს პროგრამების შედგენაში და სხვა. შეიძლება ეს მართალი იყოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ მათ პროგრამიდან სულ აღმოხოცეს საღმრთო სჯულის სწავლება, რითაც ვითომც მეორე ამერიკა აღმოაჩინეს, და ხალხს სარწმუნოება შეურყიეს. საღმრთო სჯულის მაგივრად შეიტანეს: ფიზიოლოგია, ზოოლოგია, მინერალოგია, ქიმია, ბოტანიკა და სხვა*)... მიკვირს, ვისთვის გამოაცხვეს ამისთანა რიგული პროგრამამა? უსურვებთ ყველა მასწავლებლებს ერთობითი ძალით იმუშაონ ხალხის განათლების საქმეში და ყოველივე თავისი მოქმედება დაამყარონ სარწმუნოებრივ ნიადაგზე, თორემ უამისოდ ყოველივე მათი ღვაწლი და შრომა ცალენებელი უსარგებლო და წყლის ნაყვა იქნება.

იმერეთის ეპარქიალური საბჭოს თავმჯდომარე, **დეკანოზი ერმოლაოზ კანდელაკი.**

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ჩვენ მცირეოდენ განცხადებას.

ჩვენ ქართველნი პოლიტიკური გადმოსახლებულნი ს. იჟმაში (არხანგელის გუბერნია). რიცხვით ექვსი კაცი, განვიცდით დიდ გაჭირვებას, რადგან მოკლებულნი ვართ ქართულ ლიტერატურას და რუსული კითხვა უმრავლესობამ არ ვიცით. ამიტომ მივმართავთ თხოვნით პატივცემულ საზოგადოებას და იმედია არ დაიშურებენ თავის წვლილს და გაგვიწევენ დახმარებას გამოგვგზავნიან ქართულ წიგნაკებს და ჟურნალ-გაზეთებს, რისთვისაც დავშთებით დიდად დავალებულნი შემდეგნი პირნი: აკაკი ჟღენტი, ილ. ტუდუში, მ. რაზმაძე, ნ. ცომაია, ა. ღლონტი, ა. აბულაძე. ამასთან დიდ მადლობას უძღვნით „სახალხო გაზეთის“ რედაქციას, რომელმაც უფასოდ დაგვითმო თავისი გაზეთი. ვთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ჩვენი განცხადება.

ჩვენი ადრესი: сел. Ижма Аархангельск. губ. политическому ссыльному Акакію Жгенти.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთის უმახლობელეს ნომერში ამ პატარა წერილს. ზედა თევლითის მთავარ ანგელოზის ორ შტატიანი ეკლესიის (სენაკის მაზრაა) წინამძღვარი და მისდა პირველი საკრებულო მრევლნი, გულითადს მადლობას სწირავენ ბ-ნ ბენედიქტე ბაღდანის ძე ედეკაბიას, რომელმაც შესწირა აღნიშნულს კკლესიას ორი ხელი (ორი მღვდლის) შესამოსელი—ღირებული 80 მანეთად.

წინამძღვარი მღვდელი

ვასილ ხევცურიანი.

სპორტი

ფრანგულ-კავკასიური ჭიდაობა. 16 აგვისტოს ქართულ საზაფხულო თეატრში გაიმართა ფრანგულ-კავკასიური ჭიდაობა. მიუხედავად იმისა რომ ფასები ძრიელ აწეული იყო, თეატრი ხალხით გაივსო, ამოდენა ხალხის მოსვლის მიზეზი ის იყო რომ ამ საღამოთი ჭიდაობდა კავკასიელი ფალავანი კულა გლდანელი.

იჭიდავეს პეტერსონმა და ნაჯიმ. ჭიდაობამ 33 წუთს გასტანა ნადჟის არა ჰყვანდა ისეთი მარდი მოპირდაპირე, როგორიც თვითონ არის. ტლანქმა პეტერსონმა სძლია ღონით და გადაგორების დროს გააკავა ზურგით იატაკზედ შემდეგ იჭიდავა: აპოლონმა და რეიბერმა. გაიმარჯვა აპოლონმა.

უფრო კარგი საყურადღებო იყო მესამე ჭიდაობა. იჭიდავა ყოფილმა შავ ნიღაბიანმა წითელ ნიღაბიანთან. ეს მეორედ ჭიდაობენ ეს ყოფილი ნიღაბიანები. პირველ ჭიდაობის დროს წააქცია წითელ ნიღაბიანმა, ამიტომ დამარცხებულმა აიხადა ნიღაბი და სამაგიეროს გადახახდელად გამოიწვია მეორეთ. ისე მედგრად ეკვეთნენ ერთმანეთს, რომ მათი შეხვედრა კაცს მოაგონებდა ლომებს რომელნიც თავგანწირვით იბრძვიან. შავ ნიღაბიანი შედარებით მოპირდაპირესთან წარმოადგენს სათამაშო ბურთს, მაგრამ ეასი მარდი ფანდები იძულებულს ჰხდის მოლოროსიის ფალავანს თავი შეინახოს, რათა თვითონ არ ჩავარდეს განსაცდელში. მათ მოხდენილი ჭიდაობით ხალხი დაინტერესდა. ბოლოს როგორც იყო დაიჭირა წითელ ნიღაბიანმა და დასცა მოპირდაპირე. ხალხმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ორივე მოჭიდავე. ხალხი მოუთმენლად ელოდა კულა გლდანელსა და მიხეილ მაიერის ჭიდაობას. გაისმა ზურნის ხმა, მოხდენილად გამოვიდა გლდანელი ნახევარ წუთს შეეხნენ მოპირდაპირენი. გლდანელმა შუა სალმა გამოსდო და თევზივით გააკრა იატაკს. ხალხმა დიდი აღტაცებით რამდენჯერმე გამოიწვია კავკასიის ფალავანი კულა გლდანელი და დამარცხებული მიხეილ მაიერი. **სპორტსმენი.**

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და ხიფილ. ავადმყოფებს. დღილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ფთხმაბათობითი ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—164

დოქტ. ნავასარდიანისა

ეროვნულ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ე. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—11/2 ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 11/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ფილბერმაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცეშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კეთ სულტაციები და ფერეგიები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისა თვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“

ვ. ყიფიანის დრამა

სამეგრელოს მთავარი ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ოცი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

გათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ.-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
გაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ.-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ფოთ.-ბოსფორისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—დამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

გათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ.-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
გაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბოსფორიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
ერევნიდან: სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ.

კატალოგი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.

I

სასულიერო მინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალ ნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1903 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სოფლის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გოგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. ჰ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სოფლისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი აღ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
19. იერეთელი ს. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სოფლისა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. ზროვმის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . 5 „

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—40)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალს

„განათლება“ .ზე

(წელიწადი მესამე)

ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ, ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გაეგზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც გამოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს სამს ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებლთათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ავალიშვილთან,** „ნაკადულის“ რედაქციაში და კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სოლოლაშვილი**